

საერთაშორისო კონფერენცია



2023 წელს დაგეგმილია საერთაშორისო კონფერენციის "დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების დაცვა ევროპის კავშირში" ჩატარება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

წიგნის გამოცემა

2023 წელს გათვალისწინებულია წიგნის (სტატიათა კრებულის) გამოცემა, რომელიც დაინტერესებულ ავტორებთან ერთად, გააერთიანებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე წარდგენილ მოხსენებებს.

კათედრის ხელმძღვანელი

მალხაზ ნაკაშიძე - სამართლის დოქტორი (თსუ, 2010), პროფესორი

- 2000 წლიდან მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა აკადემიურ თანამდებობაზე;
- 2012 - მიწვეული მკვლევარი, პოსტ-სადოქტორო კვლევითი სტიპენდია, დუბლინის უნივერსიტეტი, ირლანდია;
- 2016-2017 - ფულბრაიტის მკვლევარი ბოსტონის კოლეჯის სამართლის სკოლა, აშშ;
- 2018 - მიწვეული მკვლევარი რომის საპიენცას უნივერსიტეტი, იტალია;
- 2018 - მიწვეული პროფესორი (Mevlana Exchange Program) ათათურქის უნივერსიტეტი, თურქეთი;
- 2019 - მიწვეული მკვლევარი, ლატვიის სახელმწიფო კვლევითი სტიპენდია, ლატვიის უნივერსიტეტი, ლატვია;
- 2020 - ჟან მონეს პროფესორი და კათედრის ხელმძღვანელი ბსუ-ში;

გამოქვეყნებული აქვს სახელმძღვანელო, ერთი მონოგრაფია და სამეცნიერო სტატიები საქართველოში და საზღვარგარეთ საჯარო სამართლის აქტუალურ საკითხებზე.



ჟან მონეს კათედრა

"ევროპის კავშირის ძირითადი ღირებულებები: დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების დაცვა" - 2020-2023

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



რუსთაველის/ნინოშვილის ქ. 32/35, ბათუმი, 6010



+995 (422) 27-17-86



info@jeanmonnetchair.edu.ge



www.jeanmonnetchair.edu.ge



With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union



კათედრის მიზანი

ჟან მონეს კათედრა მიზნად ისახავს ევროკავშირის ღირებულებების პოპულარიზაციას, ევროკავშირის შესახებ კვლევებისა და სწავლების განვითარების ხელშეწყობის გზით.



სასწავლო კურსები

უნივერსიტეტში დაინერგა სამი ახალი სასწავლო კურსი, სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების, საჯარო მმართველობის, ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსების არჩევის შესაძლებლობა აქვთ ასევე უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის სტუდენტებს. ერთი სასწავლო კურსი ხორციელდება როგორც სამართლის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტი.

- ევროპის კავშირის კონსტიტუციური სამართალი - ბაკალავრიატი

- ადამიანის უფლებების დაცვა ევროპის კავშირში - ბაკალავრიატი

- დემოკრატია და კანონის უზენაესობა ევროპის კავშირში - მაგისტრატურა.

კვლევები

- Malkhaz Nakashidze, "The Association Agreement and the Implementation of Domestic Reforms Towards Strengthening the Rule of Law, in Georgia, Moldova, and Ukraine" International Comparative Jurisprudence, Vol 7, No 1 (2021), p. 51-74.

- მალხაზ ნაკაშიძე, "ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში: ევროპული სტანდარტები და საქართველოს კანონმდებლობა", კრებულში: კონსტანტინე კორკელია (რედაქტორი) „ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია“, თბილისი, 2021, გვ. 181-221.

სტუდენტური კონფერენცია



ყოველწლიურად იმართება სტუდენტური კონფერენცია. პირველი კონფერენცია გაიმართა 2021 წლის 21 თებერვალს და მიეძღვნა საქართველოს პირველი კონსტიტუციის 100 წლის საიუბილეო თარიღს.

საზაფხულო სკოლა



ყოველწლიურად იმართება საზაფხულო სკოლა. პირველი ღონისძიება ჩატარდა 2021 წლის 23-27 აგვისტოს. სკოლაში მონაწილეობდა 26 სტუდენტი საქართველოს 4 უნივერსიტეტიდან.

საუბრები ევროკავშირის შესახებ



პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც, რადიოთი და/ან ტელევიზიით გადაიცემა საუბრები ევროკავშირის და კათედრის საქმიანობის შესახებ.

საჯარო ლექციები სკოლებში



პროექტით გათვალისწინებულია საჯარო ლექციები საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის. 2021 წლის 8 ივნისს დაბა ქედის საჯარო სკოლაში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „ევროპის კავშირის ფუნდამენტური ღირებულებები - დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები“.

დისკუსიები ევროკავშირის შესახებ



პროექტით გათვალისწინებულია დისკუსიების გამართვა უნივერსიტეტში. 2021 წლის 9 მაისს ბსუ-ში გაიმართა მრგვალი მაგიდა თემაზე: „ევროპული ღირებულებები, ევროპული ინტეგრაცია და საქართველო“

ბლოგები ევროკავშირის შესახებ



პერიოდულად, ორ თვეში ერთხელ მაინც, კათედრის ვებგვერდზე ქვეყნდება ბლოგები საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების, ევროკავშირის ფუნდამენტური ღირებულებების შესახებ.